

სახალხო გაზეტი

სურათიანი დამატება

გაზეთის № 650

დამატების № 114

კვირა, 15 ივლისი 1912 წ.

ფურცელი კლინიკი

(დასასრული *).

III

შელამებული იყო. მთვარის ნახ შუქში წვრილ ვარ-
სკვლავთა მბუტავი სინათლე მიმქრალებული იყო და ცის
სივრცეზე აქა-იქ გაფანტულ მოსიერზე, ღრუბლების მღვრიე,
პატარა ნაჭრები, ძირს მოწმენდილ, ხრიოკ დედა-მიწაზე წე-
ლა—მმოძრავ, ნაცრის ფერ ჩრდილს სცემდა.

ის ჩვეულებისამებრ საწოლზე გულდაღმა გაწოლილიყო
და აპარატის რაკუნს ყურს უგდებდა.

ეს მესამე თვე მიდიოდა მას შემდეგ, რაც ამ აპარატმა
მის პატარა გულში რაღაც გამოურკვეველი, ტკბილი, მაგრამ
მიუწოდომელი სურვილი ჩასახა. მას ეგონა, რომ ამის სურვი-
ლის დაკმაყოფილება დამოკიდებული იყო რაღაც არაჩვეუ-
ლებრივ მოვლენაზე, ეგონა, რომ ყველა ეს თავისთავად მო-
ვიდოდა და უცდიდა. მაგრამ რამდენადაც დრო გადიოდა, იმ-
დენად უფრო რწმუნდებოდა, რომ ეს მისი სურვილი დიდხანს,
ძალიან დიდხანს, შეიძლება საშუალოდაც სურვილად დარჩე-
ნილიყო და ეს აზინებდა. მით უმეტეს მაშინ, როდესაც დაუ-
კვირდებოდა, რომ ნელ-ნელა ყველაფერი ირგვლივ ისევ
ძველებურ ხასიათს იღებდა; ისევ ძველ, მისთვის ნაცნობ კა-
ლაპატს ეკედლებოდა: მატარებლები ისევ ძველებურად, წე-
სიერად მოძრაობდნენ, აპარატი წინანდებურად ერთგვარად



იროდიონ ევლოვილი.

რომელიც, სამის წლით გადასახლებული, ავადმყოფობისა გამო გაანთავი
სუფლეს და სამშობლოში დაბრუნების ნება მისცეს.

სამშობლოვ ჩემო

(ვეუძლენი ქართველ ყრმათა გულის გამფურჩქენელის და დედა-ენის თავ-
გამოდებულ დარაჯის ი. გოგებაშვილის საფლავს).

სამშობლოვ ჩემო, მიიღე,
ნაღველიც ჩემი გულისა,
აქაც ვართ მზიარებელნი
შენი დარდის და წყლულისა.
მანდ რომ გულს დაჰკრავს ისარი—
აქ წვერი მკერდზე ტრიალებს,
კავკასიონის ზევის ხმა
ჩრდილოეთს დაიგრიალეებს.
სამშობლოვ ჩემო, მიიღე,
ნაღველიც ჩემი გულისა,
შენს მკლავზე თვალი დახუჭა
შემხვევმა შენი წყლულისა.
შენ ერთი იყავ მის სატრფო,
საუნჯე სიყვარულისა,
შენ შემოგწირა სინორჩე,
ქალარაც თვისი გულისა.
კუბოს დასცქერი—ჰკითხულობ
თვით შენს ტანჯვას და წამებას,
კუბოს დასცქერი—ჰკითხულობ
თვით შენს ტანჯვას და ვაებას.
დასტირი ცხედარს—ცრემლებში
დასტირი შენსა იარას,
ცხედარს დაჰყურებ—დაჰყურებ
შხამით აღსავსე ფიალას:
შვილნი სწურავენ, შვილნი სმენ,
შვილებს თან მიაქვთ სიმწარე
სად თავგანწირვა იციან—
არა, არ კვდება ის მხარე!
ეს არის შენი ნუგეში
დღეს დიდებულის საფლავზე,
ვარდია შენი ცრემლები
ტკბილ დედა-ენის კალამზე.
ეს არის შენი ნუგეში:
გმირს კადევ გმირი მოჰყვება,
ერი, ვინც მათ ზრდის უბეში,
არა, აროდეს მოკვდება.

ი. ევლოვილი.



† დ. ბურჭულაძე, „სახალხო გაზეთის“ თანამშრომელი და ჭიათურის
პროვინციის მასწავლებელი, გარდაიცვალა ქ. თელავში 1912 წ. 2 ივ-
ლისს. 23 წლისა.


არაკუნებდა და სიჩუმე, გამუდმებული სიჩუმეც, მისთვის ძვე-
ლი, დიდი-ხნის ნაცნობი იყო.

აპარატის კაკუნი შესწყდა. და ისიც ფიქრებიდან გამოე-
რკვია.

მხოლოდ ფანჯრის შუშაზე მიკრულ ბუხის ბზუილი და
გარედ ჭრიჭინის გაბმული ჭრიჭინი-ლა არღვევდა ოთახში
გამეფებულ ღუმელს.

*) იხ. სურათიანი დამატება, № 113.

საპრედიტო საკმე ჩვენში.



სოფ. ბაკურციხეში. დ. ზ. სარაჯიშვილის სენელობაზე დაარსებულ საკრედიტო ამხანაგობის სადგომის კურთხევა 1912 წ. 20 ივნისს. (იხილეთ დღევანდელი გაზეთი).

ფეხზე წამოდგა, ფეხ-აკრეფით მიუახლოვდა მაგიდას, ისე ჩუმად და მოკრძალებით, თითქოს ეშინიან ირგვლივ გამეფებული სიჩუმე ხმაურობით არ დაარღვიოსო, ანთო დიდი მწვანე ფანარი და საჩქაროდ გარედ გავიდა.

გარედ გაზაფხულის თბილი სიო უბერავდა და გარშემო უამრავ გუბეების მყარ სუნსა ჰფანტავდა. სამარისებური, ნაღვლიანი სიჩუმე გამეფებულიყო.

იმას კი მხარზე რკინის დიდი ლომი გავდო და ლიანდაგის გვერდით პატარა ბილიკზე თავჩაღუნული ჩქარის ნაბიჯით მიდიოდა.

—:—

გაიარა ნახევარი ვერსი და შეჩერდა. მთვარის შუქით განათებულ ჩუმ სიბნელეს, რომელიც გაუნძრევლად და უხმოდ ჰკვენსოდა, ყური დაუგდო. ირგვლივ სიწყნარე იყო ქრიქინაც კი გაჩუმებულიყო.

ამოიოხრა, სადგურს გაჰხედა და გზა განაგრძო. ერთი წუთითაც არ დაფიქრებულა, თუ სად და რისთვის მიდიოდა. თავსა და გულში არაფერი ჰქონდა. აზრი არ იძვროდა, თითქოს საფიქრელი არაფერი ჰქონდა, თითქოს თავის მოქმედების მთელი გეგმა ამ ათი წლის ერთგვარ ცხოვრებაში, უაზრო, უფიქრელ არსებობაში ჰქონდა შემუშავებული და ეხლა მხოლოდ მის ასასრულებლად მიდიოდა. თითქოს მის საქმის მთელი სიმძიმე არც კი არსებობდა, თითქოს ამ საქმის ბოლო და შედეგი უკვე, გამოველო, ისე მიაბიჯებდა დინჯად, თანასწორ ნაბიჯით და არას ფიქრობდა. მაგრამ ამავე დროს ჰგრძნობდა, რომ მის საქმეს მოჰყვებოდა რაღაც ახალი, აქამდის უნახავი, ძლიერი და მამოძრავებელი ცხოვრება. ამას ჰგრძნობდა ბუნდოვანად, მაგრამ მთელის არსებით. სისხლში ჰქონდა გაფანტული ეს გრძნობა, მის ტანზე ყოველ ბეწვს

ჰქონდა შეგნებული ახალი მომავალი, თუმცა გონება ამაზე არა მუშაობდა. იგი მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რომ იქ, სადღაც, მისგან შორს, მის სადგურსავით პატარა სადგურზე, სადაც შეიძლება ისეთივე ცხოვრება იყო, როგორც აქ, მის ახლოს, რაღაც ძლიერი და მრისხანე მოხდა. ამას სხვები უბედურებას ეძახდნენ ჯავრობდნენ, მაგრამ იქ მაინც მოძრავი სიცოცხლე იყო.


ამიტომ საფიქრებელი არაფერი იყო გადაწყვეტილი ჰქონდა და გადაწყვეტილების შეცვლა აზრადაც არ მოსდიოდა.

მთვარე ღრუბლებში მიმალულიყო როდესაც იგი პატარა ხეეს მიუახლოვდა; სადგურიდან სულ ერთი ვერსითაც არ იყო დაშორებული. მოხუცმა ყარაულმა დიდი ხანია გზას ჩაუარა და მატარებელს ეხლა სადგურზე უცდიდა, მატარებლის მოსვლას ჯერ კიდევ თითქმის ერთი საათი აკლდა.

მან ფანარი ლიანდაგის პატარა ბოგირზე დასდგა და მიიხედ-მოიხედა, თითქოს ეშინოდა არავინ დამინახოს და მთელი გეგმა არ ჩამიფუშოსო. არ უფიქრია ციხეზე, რომელიც მას მოელოდა, არც დახოცილ-დასახიჩრებულ ადამიანებზე; მხოლოდ ეშინოდა, არავინ არ დამინახოს და მთელი გეგმა არ ჩამიფუშოსო და, ვინ იცის სად, სულის რომელ სიღრმეში შობილ-აღზრდილი იმედი არ გაიქარწყლონო. მაგრამ არავინ იყო.

ირგვლივ ჩაბნელებული მინდვრები მოსჩანდა, სადღაც უსაზღვრო და თვინიერ ცნობის მხარეში იკარგებოდა, იქ სადაც ცხოვრება სხვანაირია, აქრელებული, მამოძრავი. ამ ცხოვრების ამბებს მას მხოლოდ სატელეგრაფო აპარატის დაწყვეტილი რაკუნი ატყობინებდა. ცოცხალ არსებასავით გონიერ

ოლიმპიური პარჯიუმბანი წსტოპოლში.



მონაწილეთა გამოხვლა ასპარეზზე ატარებელ მაცურებელთა თვალ წინ.

რი, სიცოცხლის საღდაც ჩამალულ ძალის მექონე აპარატი მუდამ ნელა არაკუნებდა და მისთვის ვინ იცის საიდან არ მოჰქონდა შორეულ ცხოვრების გამოძახილი.

როცა დარწმუნდა, რომ არავინ უცქერდა, აუჩქარებლივ ჩაცუცქდა, ხელი ლიანდაგს დაადო და გაჩერდა. ერთბაშად მოაგონდა, რომ მის საქციელს მართლა საშინელი ამბავი მოჰყვებოდა! მრავალი ხალხი დაიღუპებოდა და ეს სურათი ისეთი იქნებოდა, როგორც მას არასოდეს არ ენახა, მაგრამ ტელეგრაფის აპარატმა უამბო. თვალ-წინ წარმოუდგა დაჩეხილ-დამტვრეული, ერთმანეთზე შემსხდარი ვაგონები, რომელთაც აქამდის მის წინ ათასჯერ და ათი-ათასჯერ აუვლ-ჩაუვლიათ, პირქუშთ და წითელ-ყვითელ მათ საიდანაც, უცნობ მხრიდან მოჰყავდათ და მიჰყავდათ ხალხი. წარმოიდგინა სისხლი, კვნესა, გლოვა და შეზარა. უნდოდა კიდევ წამოდგარიყო, მაგრამ მოაგონდა, რომ ამ შესაზარ ამბავში იყო ჩაფლული რაღაცა, რომელსაც თითქმის თავის სიცოცხლეში გაუგებრად ეძებდა. საკმარისი იყო გაზის ორჯელ-სამჯერ მიტრიალება, მერე რკინის კეტით ლიანდაგის გადაწვევა და ყველაფერი ასრულდებოდა, ათი წლის განმავლობაში ერთგვარობაში და უაზრობაში ჩაფლულ-ჩამკვდარი მისი ცხოვრებაც ამ რკინის კეტით ერთ წუთის განმავლობაში შეიცვლებოდა.

როდესაც წამოდგა და ფარანი ხელში აიღო, ვერაფერს ჰგონებდა. ბოგირ-ქვეშ წყალი უხუოდა. ეს უხუილი იმ ხანში, რაც ბოგირზე იდგა, მხოლოდ ორჯელ გაიგო: ერთი მან-შინ, როდესაც პირველად მოვიდა, და მეორეც ეხლა, როდესაც თავი აიღო; მაგრამ ორივე შემთხვევაში ეს მხოლოდ ერთი წამით მოხდა.

ბოგირი ნელა გაიარა და უკან მიიხედა. გვერდზე ერთი მტკაველით გაწეული ლიანდაგი პირ-ღია და გაშეშებული, მძიმედ იღო თავის ახალ ალაგას და თავის ახალ დანიშნულებას ელოდა. მას რიდაცისა შეეწინდა. უკან დაბრუნდა და ლიანდაგს ხელი გაუწოდა. რისთვის, თითონაც არ იცოდა. და ამ დროს დაინახა, რომ რკინის კეტი ბოგირზე დარჩენოდა. იგი გასწორდა, კეტს ფეხი წაჰკრა. კეტი წკრიალით გაგორდა და ახმაურებულმა ხევში ჩქაფუნით ჩაიყურყუმელა.

ჩქარა წამოვიდა უკან. მთელი მისი არსება მხოლოდ სიცარიელეს მოეცვა. თითქოს ეძინება, თითქოს მას ეხლა ძილის მეტი არა უნდა რაო. როცა სადგურზე მოვიდა მატარებლის მისაღებად დაემზადა. ბაქანის ფარნები უკვე აენთოთ, სახალხო დარბაზიც განათებული იყო და თლილი ქვით დაფენილ ბაქანზე მოხუც-ყარაულის პატარა ფინია დარბოდა.

IV

შუა ღამე ახლოვდება, როდესაც სადგურს სახალხო მატარებელი მოადგა.

ერთად შეჯგუფული, მოღუშულ ცის ღრუბლები საწვიმრად ემზადებოდნენ. შორს ცის კიდევ მალ-მალ გაიელვებდა და თითქოს დედა-მიწის გულიდან მოისმოდა გაბმული, ერთგვარი ყრუ გუგუნე. ცივი ნიავი უბერავდა და სადგურის წინ ჩამოკიდულ შუშის დიდ ფარნებს აქეთ-იქით აქანებდა.

ის მატარებლის წინ თავჩაღუნული, კედელზე მიყუდებული იდგა და ჩაშავებულ, მკვდარ თვალებით გაუტერებით ჩასცქეროდა ძირს ქვაფენილს. პატარა, წითელ არშინი გაქონილი ქუდი თვალებამდის ჰქონდა ჩამოფხატული და ქრელ ხალათის გადაღეილ საკინძიდან გამხდარი, ძვლებად ქცეული გულ-მკერდი უჩანდა.

სადგურის დიდმა ზარმა სამჯერ ჩომოჰკრა. იგი ნელის ნაბიჯით მიუახლოვდა ორთქლმავალს, მემანქანეს რკინის დიდი კვერთხი გადასცა და მატარებელიც ნელი ქშენით დასტვენით დაიძრა სადგურიდან.

ირგვლივ მიდამოს შავი წყვდიადი გადაეფინა. შხაპუნა წვიმამ წამოუშინა და ძირს უამრავ ნაკადულებად ქცეული გარშემო თვალ-უწვდენელ სივრცეზე გაიფანტა. სადგურიდან ნატყორცნ სინათლის შუქი წვრილ სხივებად გაშლილი, ჩან-

მარაგონის ღმისასწაული პრავაში.



ათონელი ქურუმი ქალნი.



მოსხუცი ბავშვებით.

ლართული წვიმის ხშირ წვეთებში ძირს, გამხმარ ბალახებს შუა ჩამდგარ პატარა გუბეებს რაღაც ერთგვარის, საიდუმლო ფერით ანათებდა.

ირგვლივ სიბნელეში შთანთქმული მიდამო შავ უფსკრულს ემსგავსებოდა.

მისი შიგნითა სიცარიელე ერთბაშად შიშით გაიფსოსისხლი ეწოდა, მიხვდა რაღაცას, ყველაფერს, და რიგიანად კი ვერ გამოეკვლია მას. და ისე ძლიერ მოუნდა, ხელები მიმავალ მატარებლისკენ გაეშვირა და მთელი თავის ძალ-ლო-

მარაფონის ღმსასწაული კრავაში.



მსუბუქად ჩაცმული და შეიარაღებული მეომარნი.

ხით, ძვლებით, ძარღვებით, ყველა ნერვებით დაეყვირა „გაჩერდი!“ მაგრამ მხოლოდ დაიზმულია და მაშინვე გაჩუმდა.

მატარებელი კი თვალის სისწრაფით მიჰქროდა და მისი ორი მბუყუტავი სინათლე ნელ-ნელა შორს, შავ-ბნელ წყვდიადში ინთქმოდა.

V

მას ნანახი ჰქონდა მთელი უბედურება. თითონ შველოდა და დასახიჩრებულთა ამოყვანას, თითონ ალაგებდა დახოცილებს საკაცებზე, თითონ უხვევდა ქრილობებს, ასმევდა და აპკურებდა წყალს. მის გარშემო წამლებს სუნი ტრიალებდა. სალდათები, აფიცრები, ექიმები და ფერწლები ირეოდნენ. ერთბაშად და მოულოდნელად გაჩნდნენ ისინი, საიდან,—არ იცოდა. ვინ შეატყობინა ქვეყანას ეს ამბავი, არც ეს იცოდა; თუმცა თითონვე გაჰზავნა დეპეშა: სადგურის უმფროსის თანაშემწემ მატარებელი გადააბრუნაო, მაგრამ დარწმუნებული იყო, რომ ტელეგრაფის აპარატი თავის-თავად ამუშავდა, თითონ მოჰფინა ქვეყანას ეს ამბავი. გათენება იყო, როდესაც უბედურების ადგილზე მუშაობა დაიწყო. მან ერთი გულ-წასული და ლოყა გატეხილი ქალი ამოათრია ვაგონების ქვეშედან და შეუყვარდა. სალდათებმა მკვდარი ქალი ამოიღეს წყლიდან და ისიც შეუყვარდა. თან მუშაობდა! (კარიელ ხელებით აბრუნებდა დიდრონ ქვებს, რკინებს, ხეებს, ჰფანტავდა ნაფოტებს, კენესის ხმას მისდევდა, დამარბულთ ეძებდა და გულმოდგინედ მუშაობდა. არავის არ აქცევდა ყურადღებას; ჰგრძნობდა კი, რომ მის გარშემო მრავალი ხელი მუშაობდა, ხმაურობდა, იძროდა, ვილაცას სწყევლიდა, ტიროდა, და ჰკენესოდა, და ეს იყო, რომ მას თავს ავიწყებდა, ამუშავებდა.

ყველაფერი გათავდა და ისიც სადგურზე დაბრუნდა. პატარა სადგური ხალხით იყო გაქედლილი; ამდენი ხალხი ამ სადგურზე ვინ იცის იქნებ დაარსებიდანაც კი არა ყოფილა. იქ მატარებელი იდგა. საიდან მოსულიყო იგი ვერ მიხვდა. პირდაპირ თავის ოთახისაკენ წავიდა და აწეწილ ლოგინზე წამოწვა. დიდ დაღლილობასა ჰგრძნობდა, ხელები სტკიოდა, კანი გადაყვლეფილი ჰქონდა, თავი უმძიმდა და ეძინებოდა. რაღაცაზე დაიწყო ფიქრი, მაგრამ ვერა გაიგორა ისე დაეძინა.

ერთბაშად ვილაცამ მუჯლუგუნი წაჰკრა და გააღვიძა, მის წინ სამხედრო კაცი და რამდენიმე სალდათი იდგა. იგი მეორე ოთახში გაიყვანეს. აპარატთან ვილაც უცხო, დაბალი კაცი იჯდა და დეპეშებს ჰგზავნიდა. მთელ იმ ხნის განმავლობაში, რაც ეს სადგური არსებობდა ეს ერთად-ერთი შემთხვევა იყო, როდესაც ეს აპარატი ამ სადგურიდან, მატარებელთა მოძრაობის გარეშე, სხვა შინაარსის დეპეშებს ჰგზავნიდა. იგი მაგიდასთან დააყენეს; ვილაც დიდ-წვერა და ბქყვრიალა პაგონებთან კაცთან და რაღაცას ჰკითხავდნენ, რას უპასუხებდა, თითონაც არ ესმოდა; მის პასუხს სწერდნენ: ის კი მხოლოდ დიდ წვერს, ბქყვრიალა ლილებს და ქალაღდის თეთრ თაბახს ხედავდა. შემდეგ ბაქანზე გამოიყვანეს და მატარებელში ჩასვეს.

ორთქლმავალმა საშინლად შეჰყვირა და მატარებელიც ნელი ქშიტინით დაიძრა სადგურიდან.


მან სადგურს და მის მიდამოს უკანასკნელად მოავლო თვალი. ბაქანის წინ, ქვა-ფენილზე, თავის გრძელ ჯოხზე დაყრდნობილი მოხუცი დარაჯი იდგა და უცქეროდა მიმავალ მატარებელს, მის გვერდით უკანა ფეხებზე ჩაცმული და ყურებ დაშვებული პატარა ფინია იჯდა. შემდეგ მან თვალი მოჰკრა თავის ოთახის ფანჯრის წინ თეთრ კედელთან გამართულ ხის გრძელ სკამს, რომელზედაც იგი ათი წლის განმავლობაში მთელ დღეებს და ღამეებს ატარებდა და რომლის უკან თეთრ კედელზე მის ზურგისაგან გაფხეკილი შავი ალაგი მოსჩანდა.

მხოლოდ ეხლა გამოერკვია. შორს, მის გულის სიღრმეში უცბად შეჯგუფული ბოლმა მძიმე ლოდსავით მიაწვა ყელში, სუნთქვა შეუბოჭა, ცრემლად ქცეული მოადგა თვალებს და წვეთ-წვეთად ჩამოჰყვა მის გამხდარ, გაყვირებულ და ჩაცვინულ ლოყებს.

ეს იყო ცრემლები სინანულისა უცვლელ დროთა ბრუნვისაგან მასთან ერთად შესისხლხორცებულ მყუდრო, შეუშფოთებელ ან დაკარგულ ცხოვრებისადმი.

შალვა ტატიშვილი.

1910 წ. 17 აპრილი. ქ. მოსკოვი.



მარაფონის ღმსასწაული კრავაში.



მარაფონის მახლობლად სპარსელთა დამარცხების შემდეგ მილტიადის ზემით შემოსვლა ქალაქში.



მილტიადი და ქურუმთა უხუცესი.